მეთორმეტე წაგება

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 1 ნოემბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ზენიტი”: პრონინი, დერიომოვი, ლოხოვი, გოლუბევი, ზაგუმენიხი, სადირინი, ფოკინი, სტრეპეტოვი, ნიკოლაევი, ზინჩენკო, ჟიგუნოვი (ხრომჩენკოვი).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (წერეთელი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

ამ მატჩს თავისებური “ცალმხრივი” მნიშვნელობა ჰქონდა: “ზენიტმა” ბოლო ტურისთვის შეასრულა თავისი მთავარი ამოცანა და უზრუნველყოფილი ჰქონდა საგაისოდ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. ამდენად, მატჩს ლენინგრადელთათვის არ ჰქონდა “მატერიალური” მნიშვნელობა, ისინი მხოლოდ სპორტული პრესტიჟისთვის იბრძოდნენ თავიანთ მაყურებელთა წინაშე.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო თბილისის “დინამო”: ჩემპიონატის ამ ბოლო მატჩში გუნდისთვის წყდებოდა საკითხი თუ ბრინჯაოს მედლების მოპოვებისა არა, IV ადგილზე გასვლისა მაინც, რაც ჩვენს გუნდს უფლებას აძლევდა კიდევ ერთხელ, ზედიზედ მესამედ მიეღო მონაწილეობა უეფა–ს თასის გათამაშებაში.

თბილისელებმა ეს ამოცანა ვერ შეასრულეს. მათ ვერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება, კიდევ მეტიც, ვერც ერთხელ ვერ აიღეს ზენიტელთა კარი.

ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს ერთადერთი გოლის წყალობით, რომელიც ზინჩენკომ გაიტანა მე–10 წუთზე.

“ლელო”, 3 ნოემბერი, 1973 წ.